Robert Bosch Stiftung

კარლ ფრიდრიხ გორდელერის ეფექტური მმართველობის კოლეჯი 2013/2014

მნიშვნელოვანი ინფორმაცია კონკურსის გამოცხადების შესახებ

I. კოლეჯის მიზანი და მიმდინარეობა

:: მუშაობთ საჯარო სექტორში და აქტიურად ხართ ჩართული საერთაშორისო ურთიერთობებში?
:: გსურთ ცოდნის გაღრმავება და ანგაჟირებულ ევროპელებთან კავშირების დამყარება?
:: გსურთ ახალი იდეების და ინოვაციური კონცეფციების შემუშავება და განხორციელება?

ევროპის დაკავშირება და საჯარო მმართველების მომავალი თაობის ცოდნის გაღრმავება წარმოადგენს კარლ ფრიდრიხ გორდელერის სახელობის ეფექტური მმართველობის კოლეჯის მიზნებს. კოლეჯი წარმოადგენს კვალიფიკაციის ამაღლების ერთწლიან საერთაშორისო პროგრამას საჯარო სექტორის (საჯარო სამსახური, სახელმწიფო კომპანიები, არაკომერციული ორგანიზაციები და ა.შ.) გერმანულენოვანი 20-მდე ახალგაზრდა ხელმძღვანელი კადრისათვის აზერბაიჯანიდან, ბელარუსიდან, თურქეთიდან, მოლდოვადან, რუსეთიდან, საქართველოდან, სომხეთიდან და უკრაინიდან.

კოლეჯის ძირითადი მიმართულებები:

1. პასუხისმგებლობით საქმიანობა

მონაწილეები გაეცნობიან ადმინისტრაციულ რეფორმებსა და მოდერნიზებას, ასევე ეფექტური მმართველობის კონცეფციას: როგორ არის ჩამოყალიბებული საჯარო მმართველობა ევროკავშირში? როგორ შეიძლება ადმინისტრაციული მმართველობის ახლებურად და ეფექტურად მოწყობა ელექტრონული მმართველობის (eGovernance) მეშვეობით? როგორია პოლიტიკასთან თანამშრომლობა? რა როლს ასრულებს მმართველობა ტრანსფორმაციის პროცესში? როგორ არის შესაძლებელი ცალკეული პიროვნებისთვის ეფექტურ მმართველობაში წვლილის შეტანა?

სემინარის ეს ნაწილი ჩატარდება ერთ–ერთ გერმანულ უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, დასრულების შემდეგ კი გაიცემა ცალკე სერტიფიკატი.

პროგრამის ხელმძღვანელი:
მარკუს ლუქსი (Markus Lux)

პროგრამის კოორდინატორი:
ივონ იუნგი (Yvonne Jung)

Robert Bosch Stiftung GmbH
Heidehofstraße 31
70184 Stuttgart
www.bosch-stiftung.de

მონაწილეობის მსურველთათვის
საკონტაქტო პირი:
მარი-ლენა მაი (Marie-Lena May)
Telefon +49(0)30/25 42 31-13
Telefax +49(0)30/25 42 31-16
m.may@dgap.org
www.dgap.org
Deutsche Gesellschaft für
Auswärtige Politik e. V. (DGAP)
Zentrum für Mittel- und Osteuropa
der Robert Bosch Stiftung
Rauchstraße 17/18
10787 Berlin

ინტერნეტ-პორტალი
პრეტენდენტებისთვის:
https://bewerbung.boschstiftung-portal.de/onlinebewerbung/

დამატებითი ინფორმაცია:
www.goerdeler-kolleg.de

განაცხადის წარდგენის ბოლო ვადა:
2013 წლის 28 თებერვალი

საკონტაქტო პირი საქართველოში:
ნინო კორკელია
nino.korkelia@goerdeler-kolleg.de

„საზოგადოების შეცვლა რომ შეძლო, ამისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ კეთილი ნება - საჭიროა სიმამაცე და შესაბამისი ცოდნაც“.

კოლეჯის დირექტორი პროფესორი ვიოლეტერ დერჰოიგენი

2. ხედი კულისებს მიღმა

მონაწილეებს ექნებათ შეხვედრები საზოგადოების, პოლიტიკის და მმართველობის ექსპერტებთან, გაიფართოებენ ხედვას გერმანიისა და ევროკავშირის პოლიტიკურ ცხოვრებასა და მათ შორის ურთიერთდამოკიდებულებაში. კოლეჯი მიმართულია ურთიერთსწავლებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისაკენ.

კოლეჯის დირექტორი, პროფესორი გიუნტერ ფერჰოიგენი, შესაძლებლობას მისცემს კოლეჯის მონაწილეებს პრაქტიკასთან ახლოს გაეცნონ ევროკავშირის პოლიტიკისა და მმართველობის საქმიანობის საკითხებსა და ევროპულ ხედვას.

მონაწილეები პრაქტიკას გაივლიან მსგავს სფეროში მოღვაწე გერმანულ დაწესებულებებში და დაამყარებენ მათთვის მნიშვნელოვან კონტაქტებს.

3. სამუშაო განგრძობადი ეფექტურობით

კოლეჯი საშუალებას აძლევს მონაწილეებს ეფექტური მმართველობის თემასთან დაკავშირებით თავიანთი საქმიანობის სფეროში შეიმუშავონ და განახორციელონ საკუთარი პროექტი.

პროექტი პირდაპირ უნდა უკავშირდებოდეს კოლეჯის მონაწილეების სამუშაოს და სარგებლის მომტანი უნდა იყოს მათი მშობლიური ინსტიტუციებისთვის. ამასთან, ისინი უნდა ავსებდნენ არსებულ სიცარიელეს: რომელი პროექტის განხორციელება მინდოდა, მაგრამ მაკლდა გამოცდილება, სათანადო კონტაქტები ან განხორციელების იდეა? რა აკლია ჩემს სამუშაო სფეროს, იმისათვის რომ მისი მიმდინარეობა გაუმჯობესდეს?

პროგრამა შედგება ოთხი ელემენტისგან:

1. სამკვირიანი სემინარი ლუკენვალდეში, ბერლინსა და ვარშავაში 2013 წლის 31 აგვისტოდან 21 სექტემბრამდე

სემინარის პირველი კვირა დაიწყება ბერლინთან ახლოს, ლუკენვალდეში და მოიცავს კვალიფიკაციის ასამაღლებელ სწავლების შიდა ფაზას. ფოკუსირება მოხდება კურსის მონაწილეების ურთიერთკონტაქტზე, პროექტის მენეჯმენტისა და მმართველობის მოდერნიზაციის სფეროში ცოდნის გაღრმავებაზე. მონაწილეები პროგრამის ამ ფაზაში დააკონკრეტებენ თავიანთ პროექტებს და იმსჯელებენ მათ განხორციელებაზე.

მეორე და მესამე კვირაში განსაკუთრებული აქცენტი გამახვილებულია პრაქტიკულ საქმიანობაზე. მონაწილეები ბერლინსა და ვარშავაში გაეცნობიან, პრაქტიკას გაივლიან ინსტიტუციებში, აწარმოებენ დისკუსიებს სამუშაო ჯგუფებში და სემინარებზე და გაიღრმავებენ

თავიანთ მართვის კომპეტენციებს. ვიწრო წრეში მოხდება გამოცდილების გაზიარება კოლეჯის დირექტორ პროფესორ გიუნტერ ფერჰოიგენთან, გამოცდილ დიპლომატებთან და ექსპერტებთან, ასევე ჯგუფს ფარგლებში.

2. პროექტის განხორციელება მშობლიურ ქვეყანაში 2013 წლის ოქტომბრიდან 2014 წლის აგვისტომდე

შესავალი სემინარის შემდეგ მონაწილეები მოახდენენ თავიანთი პროექტის ინიცირებას სამშობლოში და დაიწყებენ დამოუკიდებლად მის განხორციელებას. ამისათვის ისინი გადაამუშავებენ თავინთი პროექტების გეგმებს და მოახდენენ მათ მისადაგებას პროექტის კონსულტანტის ხელშეწყობით. შემდგომ ერთი წლის განმავლობაში მოხდება პროექტების განხორციელება და დასრულება.

3. შუალედური სემინარი 2014 წლის თებერვალში

შუალედური სემინარი, როგორც წესი, ტარდება კოლეჯის მონაწილეთა რომელიმე მშობლიურ ქვეყანაში და მას ორგანიზებას თავად მონაწილეები უწევენ. აღნიშნული ფაზა ემსახურება რომელიმე ამ ქვეყანაში ტრანსფორმაციის გამოცდილების გაცნობას მმართველობის, საზოგადოებისა და პოლიტიკის სფეროებში. ამ მიზნით მონაწილეებს შეხვედრები აქვთ პოლიტიკოსებთან და ექსპერტებთან და კოლეჯის დირექტორთან ერთად განიხილავენ ევროკავშირთან ურთიერთობის მომავალს.

გარდა ამისა, კოლეჯის მონაწილეები კვალიფიკაციას იმაღლებენ პროექტის მენეჯმენტის სფეროში, აფასებენ პროექტის განხორციელების პირველ ფაზას და გეგმავენ მომავალი ნახევარი წლის საქმიანობას.

შუალედური სემინარი დამატებით ემსახურება კარლ ფრიდრიხ გორდელერის სახელობის კოლეჯის სხვადასხვა წლის მონაწილეთა დაკავშირებას და ალუმნის საქმიანობის დაგეგმვას.

4. დასკვნითი სემინარი ბერლინში, 2014 წლის აგვისტო

მომდევნო, 2014 წლის კოლეჯის (კურსის) დასაწყისისთვის კოლეჯის მონაწილეები კვლავ შეიკრიბებიან ბერლინის მახლობლად. ეს სემინარი მიზნად ისახავს ერთი წლის მანძილზე წამოწყებული და განხორციელებული პროექტების დასრულებას. ამისათვის მონაწილეები დასკვნით კვალიფიკაციის ასამაღლებელ შეხვედრას გაივლიან და წარადგენენ თავინთი პროექტების შედეგებს. ამასთან ერთად, კოლეჯის მონაწილეები გაეცნობიან და დაუკავშირდებიან მომდევნო წლის მონაწილეებს და დაგეგმავენ ალუმნების საქმიანობას.

სემინარის ენა არის გერმანული.

II. ხარჯების ანაზღაურება:

რობერტ ბოშის ფონდი გასწევს შემდეგ ხარჯებს:

საკონკურსო გასაუბრება

- საცხოვრებელი ადგილიდან ბერლინში გასაუბრებისთვის მგზავრობის ხარჯები ორივე მიმართულებით
- გასაუბრების პერიოდში განთავსება და კვება
- სავიზო მოსაკრებელი და ჯანმრთელობის დაზღვევა

კოლეჯის დაწყებამდე გერმანული ენის კურსი

- დრეზდენში, გოეთეს ინსტიტუტში, გერმანული ენის ერთი ან ორ-კვირიანი კურსის ხარჯები უშუალოდ 2013 წლის კოლეჯის დაწყებამდე (4 საათი დღეში. ენის კურსზე მონაწილეობისათვის ადგილების გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს რობერტ ბოშის ფონდი)
- საცხოვრებელი ადგილიდან დრეზდენში ჩამოსვლის, დრეზდენიდან ბერლინში გამგზავრებისა და სამშობლოში დაბრუნების ხარჯები
- განთავსება და ნაწილობრივ კვება (ვახშმის გარეშე)
- დამატებითი ხარჯებისათვის 150 ევრო კვირაში კვების, ადგილობრივი საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯების (ÖPNV) და გოეთეს ინსტიტუტის დამატებითი ფასიანი შემოთავაზებებისთვის
- სავიზო ხარჯი და ჯანმრთელობის დაზღვევა
- <u>ალტერნატიულად</u> შესაძლებელია განაცხადის შეტანა სამშობლოში სერთიფიცირებულ დაწესებულებაში (მაგალითად, გოეთეს ინსტიტუტი) ენის კურსის გავლაზე, რომელიც შეიძლება დაფინანსდეს 300 ევრომდე ოდენობის თანხით (ხარჯების გაღებაზე გადაწყვეტილებას იღებს რობერტ ბოშის ფონდი)

შესავალი სემინარი 2013 წლის აგვისტო - სექტემბერი

- საცხოვრებელი ადგილიდან ლუკენვალდეში გამგზავრება და ბერლინიდან უკან დაბრუნება (გამონაკლისი: დრეზდენში ენის კურსზე მონაწილეობისას)
- განთავსება და ნაწილობრივ კვება (ვახშმის გარეშე) და კვების ხარჯებისთვის დამატებით 400 ევრო
- ვარშავაში გამგზავრება
- სავიზო ხარჯები და ჯანმრთელობის დაზღვევა
- საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა ბერლინსა და ვარშავაში

– სემინარის ხარჯები (რეფერენტების, ოთახების, ტექნიკისა და მასალებისთვის)

შუალედური და დასკვნითი სემინარი

– საცხოვრებელი ადგილიდან სემინარის ადგილას გამგზავრება ორივე მიმართულებით
– განთავსება და კვება
– ვარშავაში მგზავრობის ხარჯები
– სავიზო ხარჯები და ჯანმრთელობის დაზღვევა
– სემინარის ხარჯები (რეფერენტების, ოთახების, ტექნიკისა და მასალებისთვის)

პროექტები

რობერტ ბოშის ფონდი არ გასწევს არანაირ ხარჯს პროექტების განხორციელებისათვის. წლის განმავლობაში კოლეჯის მონაწილეებს მხარდაჭერას გაუწევს პროექტის კონსულტანტი.

III. ინფორმაცია ორგანიზატორების შესახებ

რობერტ ბოშის ფონდი

წარმოადგენს ერთ–ერთ უმსხვილეს საწარმოსთან დაკავშირებულ ფონდს გერმანიაში. იგი დაარსდა 1964 წელს და აგრძელებს საქმიანობას ფირმის დამფუძნებლის – რობერტ ბოშის (1861–1942) საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნების მისაღწევად. ფონდი უპირატესად ახორციელებს ხალხთა ურთიერთგაგების, განათლებისა და ჯანმრთელობის თემებთან დაკავშირებულ საქმიანობას.

საგარეო პოლიტიკის გერმანული საზოგადოება (DGAP)

კოლეჯი განხორციელდება საგარეო პოლიტიკის გერმანული საზოგადოების (DGAP) რობერტ ბოშის ფონდის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ცენტრთან თანამშრომლობით. ცენტრი კონსულტაციას უწევს პოლიტიკის, ეკონომიკისა და სამოქალაქო საზოგადოების საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღებ პირებს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში აქტუალურ პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით და აწყობს კონფერენციებს, ასევე ექპერტებისა და არაოფიციალურ დისკუსიებს.

პროფესორი გიუნტერ ფერჰოიგენი

2011 წლიდან წარმოადგენს კარლ ფრიდრიხ გორდელერის სახელობის ეფექტური მმართველობის კოლეჯის დირექტორს. 2010 წლიდან ასწავლის როგორც საპატიო პროფესორი ვიადრინას ევროპულ უნივერსიტეტში, ფრანკფურტში (ოდერი) ევროპული მმართველობის, ევროკავშირის გაფართოებისა და საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებს. 2004-2010 წლებში წარმოადგენდა ბაროსოს კომისიის პირველ ვიცე-პრეზიდენტს და იყო კომისარი წარმოებისა და ინდუსტრიის საკთხებში. რომანო პროდის კომისიაში 1999-2004 წლებში მის კომპეტენციაში შედიოდა ევროკავშირის გაფართოების საკითხები. გიუნტერ ფერჰოიგენი 1998-1999 წლებში იყო სახელმწიფო მინისტრი საგარეო საქმეთა უწყებაში, ხოლო მანამდე წარმოადგენდა SPD ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეს ბუნდესტაგში, მის კომპეტენციაში შედიოდა საგარეო, უშიშროებისა და განვითარების პოლიტიკა (1994-1997).

კარლ ფრიდრიხ გორდელერი (Carl Friedrich Goerdeler)

კოლეჯს სახელი ეწოდა ადმინისტრაციული სამართლის იურისტისა და წინააღმდეგობის მოძრაობის მებრძოლის – კარლ ფრიდრიხ გორდელერის (1884–1945) მიხედვით. გორდელერი 1930 წლიდან 1936 წლამდე ლაიფციგის ობერბურგომისტრი იმ რამდენიმე დიდი ქალაქის მმართველთაგანი იყო, რომლებიც არ იყვნენ გერმანიის ნაციონალ–სოციალისტური პარტიის წევრები. ლაიფციგში ნაციონალ–სოციალისტური პოლიტიკისადმი პროტესტის ნიშნად გადადგომის შემდეგ იგი რობერტ ბოშის ფირმაში მოღვაწეობით უწევდა წინააღმდეგობას ნაციონალ–სოციალისტების რეჟიმს. გორდელერმა, რომელიც იყო სამოქალაქო წინააღმდეგობის მოძრაობის დამაარსებელი, თავის მემუარებში ჩამოაყალიბა ახალი კონსტიტუციურ–პოლიტიკური წესწყობილება და ევროპული სახელმწიფოების გაერთიანების გეგმები. იგი სიკვდილით იქნა დასჯილი 1945 წლის 2 თებერვალს 1944 წლის 20 ივლისის წარუმატებელი თავდასხმის შემდეგ.

შენიშვნა: ნამდვილია და სავალდებულო ძალა აქვს ინფორმაციას, რომელიც განთავსებულია გერმანულ ენაზე საწყის ინტერნეტგვერდზე.